

სექტემბერი, 2024

კლიმატური დახასიათება

სექტემბრის თვეში ამინდს, ძირითადად, განაპირობებდა ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებული დაბალი წნევის არე და მასთან დაკავშირებული ციკლონური აქტივობები. შედეგად, თვის მანძილზე ადგილი ჰქონდა უხვნალექიან ეპიზოდებს და ძლიერ ქარებს, თუმცა ცალკეულ პერიოდებში მაღალი წნევის არესთან დაკავშირებულმა ანტიციკლონურმა ზემოქმედებამ გავლენა იქონია შედარებით მაღალი ტემპერატურული ფონის ჩამოყალიბებაზე.

ტემპერატურული რეჟიმის მიხედვით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სექტემბერი საკმაოდ თბილი იყო. დაწყებული 1956 წლიდან, მიმდინარე წლის სექტემბერი იყო რიგით მე-7 ყველაზე თბილი 2015, 1957, 2017, 2020, 2010 და 2007 წლების შემდეგ (ნახ.1).

მიწისპირა ატმოსფერული ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურის გადახრამ მრავალწლიური (1991-2020 წ.წ.) ნორმიდან საშუალოდ $+1.53$ $[-0.2$ -დან, $+3.2$ -მდე] $^{\circ}\text{C}$ შეადგინა, უდიდესი დადებითი გადახრებით შავი ზღვის სანაპირო რაიონებსა და კოლხეთის დაბლობზე. მრავალწლიურ ნორმასთან მიმართებით, ყველაზე გრილი პირობები $[-0.2$ -დან, $+0.6$ -მდე] $^{\circ}\text{C}$ აღინიშნა ქვემო ქართლსა და კახეთში.

სექტემბრის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ზღვისპირა და დაბლობ რაიონებში $+24$, $+26^{\circ}\text{C}$, დასავლეთის მთიან და აღმოსავლეთის ვაკე ტერიტორიაზე $+19$, $+23^{\circ}\text{C}$, აღმოსავლეთის მთიან ნაწილში $+16$, $+19^{\circ}\text{C}$, ხოლო მაღალ მთაში $+13$, $+15^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში აღინიშნა.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმები, ძირითადად, სექტემბრის მეორე დეკადაში დაფიქსირდა და ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს $+37$, $+39^{\circ}\text{C}$ -ს კოლხეთის დაბლობზე მიაღწია. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვა არ დაფიქსირებულა.

შავი ზღვის სანაპირო რაიონებსა და კოლხეთის დაბლობზე აღსანიშნავია როგორც ე.წ. ტროპიკული ღამეებისა (ღამის ტემპერატურა $>20^{\circ}\text{C}$) (9-21 დღე) და ცხელი დღეების (დღის ტემპერატურა $\geq 30^{\circ}\text{C}$) სიხშირე (12-15 დღე), ასევე, ხანგრძლივი (7-9 დღემდე) პერიოდი თანმიმდევრულად ცხელი დღეებით. ტროპიკული ღამეების განმეორებადობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქ. ქუთაისი (21), სადაც უკანასკნელი 70 წლის მანძილზე, სექტემბრის თვეში ასეთი ღამეები მეტი რაოდენობით (24) აღინიშნა მხოლოდ ერთხელ - 2015 წელს.


სექტემბრის განმავლობაში ყველაზე დაბალი ტემპერატურები ქვეყნის ტერიტორიაზე თვის მესამე დეკადაში დაფიქსირდა, როდესაც ქვეყნის მთიან და მაღალმთიან ნაწილში ტემპერატურა $+5$, $+2^{\circ}\text{C}$ -მდე დაეცა.

სექტემბრის თვე ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე ნორმასთან ახლოს, ან უფრო მცირე ნალექიანობით ხასიათდებოდა (ნახ.2). ყველაზე მშრალი პირობები კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში და მიმდებარე მთიან რაიონებში დაიკვირვებოდა, სადაც ნალექების რაოდენობა (20-30 მმ) მრავალწლიური ნორმის 25-40%-ს არ აღემატებოდა. ნალექების თვის ჯამების მაქსიმალური რაოდენობა (150-250 მმ), ჩვეულებრივ, სანაპირო ზოლში მოვიდა, თუმცა ნალექიანი დღეების სიხშირით გამოირჩეოდა ქვეყნის აღმოსავლეთი მთიანი რაიონები, განსაკუთრებით, მცხეთა-მთიანეთი (14-17 დღე), სადაც ნორმასთან შედარებით 6-7 დღით მეტი ნალექიანი დღე აღინიშნა.


აღსანიშნავია, რომ სექტემბერში ნორმასთან მიმართებაში ყველაზე ნალექიანი იყო დედაქალაქი, სადაც მრავალწლიურ საშუალო რაოდენობაზე თითქმის ორჯერ მეტი ნალექი დაფიქსირდა. ამასთან, თბილისში თვის მანძილზე მოსული ნალექის ძირითადი რაოდენობა (70%-მდე) აღინიშნა ერთ ღამეში (6 სექტემბერი, 45.4 მმ), როდესაც 12 საათში თვის ნორმაზე 30%-ით მეტი ნალექი მოვიდა, ხოლო ერთ დღე-ღამეში მოსული რაოდენობის მიხედვით (46.9 მმ), სექტემბრის თვისთვის განეკუთვნება 100-წლიანი განმეორებადობის ნალექს.

25 სექტემბერს ზუგდიდის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში აღინიშნა ძლიერი ნალექი (წვიმის სახით). დღის განმავლობაში (12 საათში) ქ. ზუგდიდში მოვიდა ნალექის თვის ნორმის თითქმის 40% (58.4 მმ), ხოლო წალენჯიხაში 1 საათის განმავლობაში მოვიდა 35-40 მმ, რაც სახიფათო მეტეოროლოგიური მოვლენების კატეგორიას განეკუთვნება. მოსულმა ძლიერმა ნალექმა ცალკეული სოფლების და ქ. ზუგდიდის ზოგიერთი ქუჩის დატბორვა, ასევე, შიდა გზების და ხიდების დაზიანება გამოიწვია.

29-30 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში აღინიშნა ძლიერი აღმოსავლეთის ქარი. ქუთაისში ქარის მაქსიმალურმა სიჩქარემ 30 მ/წმ შეადგინა. ძლიერი ქარის შედეგად ზუგდიდის, წყალტუბოსა და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში დაზიანდა ინფრასტრუქტურა, შეიქმნა ელექტროენერჯის მიწოდების პრობლემები, ქარმა მოგლიჯა მრავალწლიანი ხეები.



ნახ.1. სექტემბრის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურის ანომალიები საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში



ნახ.2. ატმოსფერული ნალექების სექტემბრის თვის ჯამების ანომალიები პროცენტებში საბაზისო პერიოდთან 1991-2020 წ.წ.) მიმართებაში